ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2983572

ნომერი: AR1459167

თარიღი : 29.11.2016

გაცემის თარიღი : 08.12.2016

გაცნობის თარიღი : 08.12.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გუდიაშვილი , N 18/რუსთაველის გამზირი N7;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით გაჩეჩილაძე პ/ნ 01024017635
- თბილისი, ბახტრიონის 28, ბ. 9

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური კომპლექსი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: არჩილ ქურდიანი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "გია და არჩილ ქურდიანების სტუდია დინასტია>>"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204443888

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ,,მაგთი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204873645
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: შპს ,,მაგთი", დავით გაჩეჩილაძე

- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01024017635

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : №2619959
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 27.05.2016

ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ 2016 წლის 27 მაისის №2619959 ბრძნებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ.
ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 27 მაისის №2619959 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, (სექტორი – მთაწმინდა), გუდიაშვილის ქ. N18/რუსთაველის გამზირის N7–ში, შპს ,,მაგთი''–ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური კომპლექსის/მუზეუმის კორექტირებულიარქიტექტურული პროექტი, გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 27 იანვრის ჩათვლით.
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 29/11/2016 წლის N AR1459167 განაცხადით მომართა მოქ. დავით გაჩეჩილაძემ და მოითხოვა მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების მიზნით, 2016 წლის 27 მაისის №2619959 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების განხორციელება. სამსახურმა განცხადების განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 63-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 27 მაისის №2619959 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში კერძოდ, "ძალაშია 2017 წლის 27 იანვრის ჩათვლით“ შეიცვალოს ,,ნებართვა ძალაშია 2017 წლის 27 აგვისტოს ჩათვლით“;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 27 მაისის №2619959 ბრძნებასთან ერთად.

- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.